“დინამო” (თბილისი) – “ლოკომოტივი” (მოსკოვი) - 2:1 (1:0)

თბილისი. სტადიონი “დინამო”. 25 000 მაყურებელი.

30 ოქტომბერი.

მსაჯი : ა. შელჩკოვი (მოსკოვი).

გოლები გაიტანეს: 1-0 მ. ბერძენიშვილი (10), 2-0 პაიჭაძე (67), 2-1, ტერენკოვი (77).

“დინამო” (თბილისი):^ დოროხოვი; შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, მინაევი, გაგუა, ჯორბენაძე, ელიავა, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ვ. ი. ბერძენიშვილი, სომოვი.

“ლოკომოტივი” მოსკოვი: რაზუმოვსკი (გრანატიკნი), ანდრეევი, გვოზდკოვი, მაქსიმოვი, ჟუკოვი, სტრელკოვი, კირეევი, სოკოლოვი, ილინი, ლავროვი, ტერენკოვი.

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1936a&cl=8

დაამატა: ერლან მანაშევმა.

დამსახურებული გამარჯვება

ძლიერ ბევრი საინტერესო მატჩი მინახავს, მაგრამ ასეთი კი იშვიათი არის ხოლმე.

დღეს, განსაკუთრებული სილამაზე და სპორტული მრავალფეროვნება ახასიათებდა თამაშს. ბევრჯერ აღელვებულა სტადიონის “გულშემატკივართა” მრავალათასიანი მასა, მაგრამ წარსულის ღელვა დღევანდელს ვერ შეედრება.

ერთი სიტყვით: მაყურებელი არასოდეს მოხრილა წელში და არ “ავადმყოფობდა” ისე, როგორც დღეს.

და ეს სავსებით ბუნებრივია!

სტადიონზე ერთმანეთს შეხვდა ორი მებრძოლი - სპორტული კოლექტივი: ¿მოსკოვი, ტფილისი.

“საკავშირო თასზე” გამარჯვებულ რკინიგზელ ფეხბურთელთა გუნდი - “ლოკომოტივი” და ტფილისის “დინამო”.

“ბრძოლა”, უთუოდ, გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო.

გამარჯვება ამ მატჩზე, მოსკოვის “ლოკომოტივს” უჩვეულო ფრთებს შეასხავდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ემბლემა მკერდს დაუმშვენებდა.

დამარცხება, ამ მატჩზე, ტფილისის “დინამოს” მეოთხე ადგილზე დაწევდა.

რატომ ღელავდა მაყურებელი.

რატომ ვამჩნევდით მის სახეზე მოღუშულობის ფერკმთალ ხაზებს.

რატომ ხშირად გვესმოდა: “ნეტავ “დინამო” დღეს მოიგებდეს”...“არა! გამარჯვება მოსკოვს ხვდება წილად”...

მოუთმენლად ელი მინდვრის ჟრიამულს, მსაჯის სასტვენის შეჩვეულ ხმას.

მსაჯი ამხ. შჩელჩკოვი მინდვრის შუა წერტილში დგას.

ისმის სასტვენის პირველი ხმა.

მოსკოვის "ლოკომოტივის": მეკარე - გრანატიკნი; მცველები - ანდრეევი, გვოზდკოვი; ნახევარმცველები - მაქსიმოვი, ჟუკოვი, სტრელკოვი; თავდამსხმელები - სემენოვი, კირეევი, ნ. ილინი, სოკოლოვი და ტერენკოვი.

ტფილისის "დინამო": მეკარე - დოროხოვი; მცველები - შავგულიძე, ნიკოლაიშვილი; ნახევარმცველები - ჯორბენაძე, მინაევი, გაგუა; თავდამსხმელები - ელიავა, ვლ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, მ. ბერძენიშვილი და სომოვი.

"დინამო" რამდენადმე შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა.

არ თამაშობენ: პანინი, ანიკინი. მარჯვენა გარემარბათ თამაშობს სომოვი, ხოლო მის ადგილას - მარცხენა გარემარბათ - ელიავა. გაგუა, როგორც მას "დამჭერს" უძახიან თავის ადგილზეა.

ზოგიერთები ამგვარ გადანაწილებით შიშს გამოსთქვამს, მაგრამ გულს არ იტეხენ.

იწყება "ბრძოლა". ტემპი თუმცა პირველათ ნელია, მაგრამ თამაში - ფრთხილი და დაკვირვებული.

რამოდენიმე წუთი და... "დინამო" შეტევას ანვითარებს. კარგათ თამაშობს მარჯვენა ფრთა. ბურთი თავდამსხმელთა ცენტრის - პაიჭაძის მოწოდებით მიიღო მარჯვენა ინსაიდმა - მ. ბერძენიშვილმა. მან სწრაფად რამდენიმე "ნახტომი" გააკეთა და მოხდენილათ მისცა ბურთი სომოვს. იგი გვერდიდან მიქრის მოსკოვის კარებისაკენ. აი, მიუახლოვდა კიდეც. მძლავრი დარტყმა... მოუთმენლად, როგორც ერთი კაცი, წამოიწია 35000 მაყურებელმა და გამარჯვების მისალოცად მოემზადა, მაგრამ... ნაადრევი გამოდგა.

მოსკოველი გამოცდილი მეკარე - გრანატკინი მოხდენილათ იჭერს ბურთს.

მოსკოველებიც ხშირად უახლოვდებიან "დინამოს" კარებს. თუმცა შიგ კარებში ნაკლებად "აწუხებენ" დოროხოვს. ის ჩეხელ მეკარის კლანიჩკას მეთოდით თამაშობს დღეს. თითქმის მუდამ კარს გარეთაა და მესამე მცველის მოვალეობას ასრულებს.

მე-15 წუთი. "დინამოს"-ს თავდამსხმელთა სამეულს პატარა მოწოდებებით მოაქვთ ბურთი. მ. ბერძენისვილი სწრაფად აწვდის მარჯვენა გარემარბს - სომოვს, ხოლო თვითონ შურდულივით გაექანა წინ. აი მიიღო ბურთი სომოვისაგან და პირდაპირ, მძლავრი კუთხური დარტყმით გაგზავნა "ლოკომოტივის" კარებში. ბადე შეირხა, ბურთი ძირს ჩამოვარდა.

პირველი გამარჯვება - 1:0.

თამაშის პირველ განყოფილებაში შედეგი აღარ შეცვლილა. თუმცა ამის შესაძლებლობა ტფილისს არაერთხელ ჰქონდა.

მეორე განყოფილება უფრო ცოცხალია.

ტფილისელები არამარტო კარგათ იცავენ თავს, არამედ თავდასხმასაც გაბედულათ აწარმოებენ.

თავდამსხმელთა ცენტრი - პაიჭაძე, რომელიც პირველ განყოფილებაში თითქოს ძალას იზოგავდა, თავს ინახავდა - ჩვეულებრივად ამოძრავდა.

თამაშის დამთავრებამდე 18 წუთით ადრე, იშვიათი ოსტატობითA და სილამაზით იგი მეორე ბურთს ახვევს "ლოკომოტივის" ბადეში.

ნუთუ "ლოკომოტივი" მარცხდება!"...

ნუთუ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელის მოპოვების უფლებას კარგავს!?...

ფაქტი ჯიუტია. როგორც ილია ამბობდა ხოლმე, ჩვენ ამას გვარწმუნებდა და ამაზე გველაპარაკებოდა... "იმისთანა უტყუარი და დაუქრთამავი მოწმე, როგორც თვალად დასანახი გარემოებაა".

“ლოკომოტიველებმა” მთელი თავიანთი ხელოვნება ბოლო წუთებს ჩააქსოვეს, მაგრამ ანგარიში ვერ გაქვითეს. მათ ის, მხოლოდ ნაწილობრივ შეცვალეს. “კორნერიდან” მოწვდილ ბურთს მძიმედ აგდებენ ტფილისის კარებში. ამრიგათ ანგარიშია - 2:1 ტფილისის სასარგებლოთ.

გაიმარჯვა ტფილისის “დინამომ”.

თუმცა, ეს გამარჯვება, თავისთავად არ მოსულა. იგი მოიპოვა ფეხბურთელთა ამ ცოცხალმა კოლექტივმა. ეს გამარჯვება, რომ იტყვიან - ნამდვილად დამსახურებული გამარჯვებაა.

დ. მჭედლიშვილი.
“ახალგაზრდა კომუნისტი”, 1 ნოემბერი, 1936 წ.